



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება №124

2013 წლის 20 აგვისტო
ქალაქი ხაშური

სოფელ ფლევეში არტეზიული ტუმბოს მონტაჟის სამუშაოების
გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2013 წლის 13 აგვისტოს (სატენდერო განცხადება SPA130017728) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი სოფელ ფლევეში არტეზიული ტუმბოს მონტაჟის სამუშაოების შესყიდვაზე, რომელსაც 2013 წლის 19 აგვისტოს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 20 აგვისტოს მოხსენებითი ბარათის შესაბამისად სოფელ ფლევეში არტეზიული ტუმბოს მონტაჟის სამუშაოების შესყიდვა აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 20 აგვისტოს მოხსენებითი ბარათის შესაბამისად და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #52 დადგენილებით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს სოფელ ფლევეში არტეზიული ტუმბოს მონტაჟის სამუშაოების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განხორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე